დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 148/19
## (დაფინანსების წყარო: სააგენტოს საკუთარი შემოსავლები)

**ქ. თბილისი** **30 სექტემბერი, 2019 წელი**

**ხელშეკრულების დამდები მხარეები:**

ერთის მხრივ, **სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო,"** წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის ბესიკ კუსიდის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გულუას ქუჩა №6, ს/კ # 204911337, ტელ. 2752352, სახელმწიფო ხაზინა, კოდი # TRESGE22, ა/ა # GE24NB0330100200165022

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

მეორეს მხრივ, **შპს „ჯეოვაინ თრეიდინგ"-ი,** წარმოდგენილი მისი დირექტორის შავლეგ ტუღუშის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი") იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოსტავას ქ., N 37-39; ს/კ: 404531636 , სს "თიბისი ბანკი", კოდი# TBCBGE22, ა/ა # GE49TB7649536080100008

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

### 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია **კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების UNESCO-ს ბუნებრივი მსოფლიო მემკვიდრეობის უბნად ნომინირებასთან დაკავშირებული ღონისძიების ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტებისთვის სასაჩუქრედ გადასაცები ღვინის** (CPV15930000 - **ღვინო**) (შემდგომში "საქონელი") სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.2 შესყიდვა ხორციელდება სააგენტოს საკუთარი შემოსავლებით, სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს" საჭიროებისათვის (საფუძველი: 2019 წლის 24 სექტემბერის N10385 და 2019 წლის 27 სექტემბრის N10517 მოხსენებითი ბარათები და 2019 წლის 27 სექტემბრის N0-209 ბრძანება).

1.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **300.00** (სამასი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით (დღგ-ს ჩათვლით).

### 2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

2.1 შესყიდვის ობიექტია:

| № | დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ღვინო „როიალ ხვანჭკარა" სასაჩუქრე შეფუთვით | ბოთლი | 5 | 60.00 | 300.00 |

### 3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2019 წლის 3 ოქტომბრისა;

3.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მისამართზე;

3.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

### 4. ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს ინსპექტირებას.

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის ინსპექტირების მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.2. მიწოდებული საქონლის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

4.3. ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების სამსახურის თანამშრომელი.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად;

5.2. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებიით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით;

5.3 ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"-ს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების სამსახურის უფროსი თამარ ხახიშვილი.

## 6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშსწორებისათვის საჭირო შესაბამისი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

## 7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2. „შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა დაუყოვნებლივ;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ

შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

## 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

13.2 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით..

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში (ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის);

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2020 წლის 31 იანვრამდე, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

## 16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, აგრეთვე ვიზების დამდები პირები, ამავდროულად ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესტა კონფლიქტში აღნიშნულ მიმწოდებელთან.

## 17. განსაკუთრებული პირობები

17.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო" | შპს „ჯეოვაინ თრეიდინგ" |
| ზესიკ კუსიდი<br>თავმჯდომარის მოადგილე | შავლეგ ტუღუში<br>დირექტორი |

LLIP AGENCY OF PROTECTED AREAS

Digitally signed by LLIP AGENCY OF PROTECTED AREAS
Date: 2019.09.30 16:24:21 +04'00'